პოსტსაბჭოთა ეკონომიკური პარადიგმა და საქართველოს ეკონომიკა საკუთარი თავის ტყვეობაში

გიორგი ბიწაძე,
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიის მიზანს წარმოადგენს წარმოაჩინოს საქართველოს ეკონომიკის შემაფერხებელი გარემოებების გაანალიზება, სადაც განხილულია არა ერთი რომელიმე კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკა, ან ხელისუფლების საკანონმდებლო მექანიზმების მიზანშეწონილობა, არამედ ის ფაქტორი, რამაც უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკის ბედის წარმართვა, ვინაიდან ნებისმიერი გადაწყვეტილება აღმოცენდება იმ სისტემის და აზროვნების წესით შესაბამისად, რაც დანერგილია ქვეყანაში და არა რომელიმე პოპულისტი პოლიტიკოსის მისწრაფებების შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: მონოპოლია; ინფლაცია; სალდო; კონკურენცია; საბაზრო ეკონომიკა; რაციონალიზმი;

THE POST-SOVIET ECONOMIC PARADIGM AND THE GEORGIAN ECONOMY IN CAPTIVITY

Giorgi Bitsadze,
PhD student of GTU

SUMMARY

The purpose of the article is to present an analysis of the circumstances hindering the economy of Georgia, where not one particular economic policy or the expediency of the legislative mechanisms of the government is considered, but the factor that ensured the direction of the country's economy, since any decision emerges according to the system and way of thinking that has been implemented in the country. And not according to the aspirations of some populist politician.

შესავალი

სოციალისტური სისტემის ჩამოშლის შემდგომ საქართველო ვერ შედგა ძლიერი, დამოუკიდებელი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, მაშინ როდესაც საქართველო გამორჩეულია სასარგებლო წიაღისეულით, ბუნებრივი რესურსებით, გეოგრაფიული მდებარეობითა და მდიდარი ტრადიციებით. განვლილი პერიოდი გვაძლევს შესაძლებლობას გარკვეული დასკვნების გაკეთების.

მსოფლიო ეკონომიკას მრავალი დიდი ეკონომისტი ჰყოლია, მათ შორის ბევრია ნობელის პრემიის ლაურეატები, რომლებმაც ეკონომიკური აზრის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. მიუხედავად ეკონომიკურ წარსულში მეცნიერთა მდიდარი კონტიგენტისა განსხვავებული ეკონომიკური სკოლებისა და სისტემების შექმნა მხოლოდ სამმა მათგანმა ადამ სმითმა, კარლ მარქსმა და ჯონ მეინარდ კეინსზმა შესძლო.

კლასიკური ეკონომიკის ფუძემდებლად მიჩნეულია ადამ სმიტი, მისი მთავარი იდეა აგებულია ლიბერალურ სამყაროში რაციონალური ადამიანებისა და მთავრობის ჩაურევლობის კონცეფციაზე;

კარლ მაქსი - სოციალიზმის ფუძემდებელი, ეკონომიკაში ცენტრალური მგეგმავის კონცეფციის ავტორი, და მესამე, ჯონ მეინარ კეინზი - ავითარებს აზრს სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობაზე და საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო როლის არსებობის დასაშვებობის კონცეფციას გვთავაზობს.

მარქსისტული ეკონომიკის პარადიგმას საქართველო 30 წელზე მეტია გაეთიშა ახალი ეკონომიკური სისტემისადმი დიდი მოლოდინის იმედით და დაიწყო საბაზრო ეკონომიკის მოდელის ფორმირება, რომელიც, როგორც აღმოჩნდა უკიდურესად ლიბერალური მიდგომებით იქნა გააზრებული. შედეგად სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩაურევნელობის კონცეფცია უმთავრეს დოგმატურ სახეს იღებს, სადაც ყველაფრის გაყიდვა დასაშვებია, სტრატეგიული ობიექტების ცნების არ აღიარება კი უმთავრესი. ერთი შეხედვით ამ კონცეფციაში, რომელსაც უკვე ათწლეულებია გავდივართ საგანგაშო არაფერია, გარდა განსხვავებული აზრის მიუღებლობა, უფრო მეტიც, სხვა ნებისმიერი შეხედულება საზოგადოებაში დაცინვის ობიექტადაა ქცეული. სწორედ ამიტომ ძირითადი ნაწილის საკითხავს არ წარმოადგენს განვლილი ომების, კორუფციის და სხვა მრავალი პრობლების წარმოჩენა, დაკვირვების საგანს უკიდურესად ლიბერალური პარადიგმის ზეგავლენის გაანალიზებაა, რომელსაც სახელმწიფო ამ დრომდე ვერ უპირისპირებს ადექვატურ შეხედულებებს და ქვეყნის ეკონომიკას განვითარების პოტენციალს უქვეითებს.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა და უკვე შესაძლებელია გავაანალიზოთ ის ძირითადი ფაქტორები, რამაც უკიდურესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკის წარუმატებლობაში. ამ პერიოდის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობამ

გამოიარა სამოქალაქო და მეზობელ სახელმწიფოსთან ომი, კორუფცია, საკუთრების უფლებისა და ადამიანის თავისუფლების ხელყოფა, ცენტრალური ეკონომიკური მგეგმავიდან ღია საბაზრო ეკონომიკის მოდელზე ფორმირების პროცესის არათანმიმდევრულობა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა ყველაზე დიდი მოულოდნელობა გრძელვადიან ეკონომიკურ პერიოდში, იდეოლოგიური დაპირისპირებით გამოწვეულმა ქაოტურმა კომპონენტებმა გამოიწვია. საბჭოთა მართველობის დასრულების შემდგომ საქართველომ მიიღო კონსტიტუცია, სადაც მითითებულია ქვეყნის ეკონომიკური სისტემის განვითარების მიმართულებები.

სოციალისტური სისტემისადმი სიძულვილმა მნიშვნელოვნად განაპირობა ღია ეკონომიკური სისტემის ფორმირებისას, პროცესს უკიდურესად ლიბერალური სახე მიეღო, სწორედ აქედან იღებს სათავეს სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე გადასვლისას 90-იანი წლებში არათანმიმდევრული და თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკაში ინტეგრირებისათვის გაუცნობიერებელი ეკონომიკური ნაბიჯების გადადგმა და ქვეყნის ეკონომიკის საკუთარი თავის ტყვეობაში მოქცევა, სადაც მკაცრადაა დაგმობილი სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი სახის პროტექციონიზმი, როგორც თავისუფალ ბაზარზე უხილავი ხელის დამაბრკოლებელი ფაქტორი. ასეთმა მიდგომამ გამორიცხა სახელმწიფოს როლი კონკურენტული ბაზრის ფორმირების პროცესის სრულყოფაში და პირიქით საბაზრო ეკონომიკის კონტურების გამოკვეთაში ხელის შემშლელ კომპონენტად აქცია.

ახალი ლიბერალური ეკონომიკის თეორიამ მყარი საძირკველი შეიქმნა ქვეყნის პოლიტიკის მართველ სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე ამ იდეოლოგიის მიმდევართა მოღვაწეობამ, რომლებმაც შესძლეს საზოგადოების ნაწილი დაერწმუნებინათ თავიანთი თეორიის მიზანშეწონილობაში.

მრავალი წლის მანძილზე გარდა პროტექციონიზმის დაუშვებლობისა, ლიბერტანიალური თეორიამ ეკონომიკის სხვა ისეთი საკვანძო საკითხებიც მოიცვა, როგორიცაა მონოპოლია, ის არაა საზოგადოებაში წონასწორობის შემაფერხებელ მოვლენად აღქმული; ინფლაციური მოვლენების გადაჭრის შესაძლებლობას კი ეროვნული ბანკის ეგზისტენციალიზმში ხედავს; საგარეო ვაჭრობის უარყოფით სალდოს მიზეზს მუდმივად სახელმწიფო პოლიტიკაში ეძიებს, ისევე როგორ მიმოქცევაში ფულის მასის სიდიდესა და სხვა პარამეტრებს.

საქართველოში ლიბერტანიალური ეკონომიკური იდეოლოგიის გაღრმავებაში მნიშვნელოვანი წილი მიუძღვის ყოფილ ეკონომიკის მინისტრს კახა ბენდუქიძეს, რომლის ხედვა ეფუძნებოდა საყოველთაო პრივატიზების შესაძლებლობას და სხვადასხვა ტიპის რეფორმებს, რომლებმაც იდეოლოგიას კანონიკური საფუძვლები შესძინა, მისი მინისტრობის პერიოდს უკავშირდება საქართველოში ანტიმონოპოლისტური რეფორმა და საფინანსო ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ბაზრის, შემდგომში საბანკო სფეროს ტყვეობაში გადასვლას.

კეინზიანური ეკონომიკის პოლიტიკისგან განსხვავებით, რომელიც დასაშვებად ცნობს კონკურენტული ბაზარზე სახელმწიფოსგან ისეთი მექანიზმებით ჩარევას, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენციის ხარისხის გაუმჯობესებას და შეზღუდული რესურსების რაციონალურად ათვისებას, ლიბერტარიანული დოგმა მონოპოლიას, როგორც მოვლენას საშუალო და გრძელვადიან პერიოდში არ განიხილავს რესურსების სამართლიანად განაწილების ფაქტორად, თითქოს ის არც არსებობდეს ბუნებაში, და ამისათვის მზღვრული დანახარჯის და შემოსავლის თეორიაზე კონცენტრირდება, სადაც კომპანიები, რომლებიც მონოპოლურ მდგომარეობაში იმყოფებიან არ სარგებლობენ ბაზარზე ფასის კარნახის პოლიტიკით იმ მოტივით, რომ მაღალი ზღვრული სარგებელი მასტიმულირებელია სხვა კომპანიებისათვის სეგმენტზე შესასვლელად, და სხვა, დაინტერესებულ ინდივიდების სადემოტივაციოდ იყენებს ზღვრული სარგებლის დაბალანსებას კონკურენტული ბაზრის ზღვრული სარგებელი ოპტიმალურ ნიშნულამდე, ამდენად მონოპოლიას არ განიხილება საფრთხის შემცვლელ მოვლენად. რამდენად ამართლებს ეს თვალსაზრისი და როგორი შედეგები მოიტანა საქართველოში ამ თეორიის მიმდევართა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ნავთობ პროდუქტებისა და ფარმაცევტულ ბაზრებზე ფასწარმოქმნის პოლიტიკა მოწმობს.

რა არის ლიბერტანიალური ეკონომიკის მთავარი პრობლემა? ნებისმიერი ეკონომიკური თეორია აუცილებლად მოიცავს ისეთ ელემენტს, რომელიც დასაშვებია რაციონალური ეკონომიკის განსავითარებლად, მათ შორის ამ სკოლის წარმომადგენლების დებულებები, მაგრამ პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამ დებულებების კანონიკიზაცია ემსგავსება სოციალისტურ ეკონომიკურ პოლიტიკას თავისი უკიდურესობით, ხოლო უკიდურესობის ეფექტით წარმართული ეკონომიკური პოლიტიკა უკვე 30 წელია არასასურველ შედეგებს იძლევა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალისათვის.

2014 წ-დან საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ლიბერტანიალური ეკონომიკის პარადიგმისათვის კრიტიკის საგანს წარმოადგენს. ბანკებს დაუწესდათ შეზღუდვა ფიზიკური პირებისთვის დოლარის სესხით უზრუნველყოფაზე და გატარდა დოლარის სესხების გალარების პოლიტიკა, ფარმაცევტულ ბაზარს ფასწარმოქმნის პოლიტიკის განსაზღვრისათვის დაუწესდათ ზედა ზღვარი, ნავთობ პროდუქტების იმპორტიორ კომპანიებს მონოპოლური თეორიების პრაქტიკაში

განხორციელება 4 მლნ ლარის ჯარიმა დაეკისრა. რამდენად ადექვატურია ოცნების პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკის საჭიროებისათვის ?! ბუნებრივია არა, ყოველი ეს არის ირიბი აღიარება მთავრობისგან, რომ ქვეყნის ეკონომიკაში არსებობს რაღაც, რაც ვერ გაანალიზდა სწორად და ეს რაღაც ლიბერტანიალური პარადიგმაა, რომლისთვისაც დამახასიათებელი ნიშან-თვისებად რჩება უკიდურესობის ცნება. მსოფლიოს ეკონომიკური პროცესები ცხადყოფს ეკონომიკურ წარმატებას, სადაც სახელმწიფო პროტექციონიზმი ფიქსირდება. საინტერესოა როგორ ახერხებს ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული ჩინეთი მსოფლიო ბაზრის 47% მოიცვას სოფლის მეურნეობის პროდუქციით, როგორ აღწევს თურქეთი და ისრაელი პროტექციონიზმით ეკონომიკური პარამეტრების ზრდის უზრუნველყოფას, რატომ ცდილობდნენ ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და ევროკავშირის ქვეყნის მეთაურები სახელმწიფო როლით ქვეყნის ეკონომიკის წარმატებაზე ფიქრს, როცა ლიბერტანიალური ეკონომიკის სკოლის თეორიები მათვის კარგადაა ცნობილი?! საკუთარი თავის ტყვეობიდან თავის დასაღწევად და საქართველოს ეკონომიკის განსავითარებლად აუცილებელია ზემო ჩამოთვლილი ქვეყნების ეკონომიკის გაანალიზება, შესაფერისი მოდელის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.

დასკვნა

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მუდმივად სხვის რეკომენდაციების მორჩილებაში მყოფ ეკონომიკას წარმოადგენს. მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი თუ სხვა ნებისმიერი დონორი ორგანიზაციები ადგენენ სტანდარტს თუ რა მიზნობრიობით განიკარგოს ფულადი სახსრები, როგორ განისაზღვროს თარგეთირების რეჟიმი, რა მოცულობას არ უნდა აღემატებოდეს K2 კოეფიციენტი და სხვ.

თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ ტენდეციებზე დაკვირვება მოწმობს, რომ დღეს ბიზნესს და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკას ფიქრის დროს არ აქვს, ვინაიდან დროში მოქნილობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა ღია ეკონომიკის წევრებისათვის. წინაპირობა იმისა, რომ ქვეყანამ შესძლოს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება არის ლიბერალური პარადიგმის გადასინჯვა და მთავრობის მიერ გლობალურ ეკონომიკურ ტენდეციებზე დაკვირვებით პრაგმატული, მაგრამ რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა და ქვეყანაში კონკურენტული სივრცის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წილის გაღება.

ერთ-ერთ ასეთ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს მიერ კომპანიების დაარსება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქვეყნის მთლიანი გამოშვების ზრდაზე და შემდგომ ამ კომპანიების სპეც-აუქციონის ტიპის პლატფორმების საშუალებით პრივატიზება, ეს პროცესი ბუნებრივია მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული, მაგრამ დაკარგული 30 წლის შემდეგ აუცილებელია მკვეთრი ნაბიჯის გადადგმა და არ ელოდოს საზოგადოება იმის გარკვევას თუ სად, და რა სფეროში გვსურს ინვესტიციების დაბანდება და ვის მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ოლივიე ბლანშარი.მაკროეკონომიკა.ელ.ვერსია.თსუ გამომცემლობა 2010 წ

2.გრეგორი მენქიუ.ეკონომიკის პრინციპები.გამომცემლობა დიოგენე 2008 წ

3.პოლ ჰაინე. ეკონომიკური აზროვნება. თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის გამომცემლობა 2012 წ